



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო,  
იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის საქმიანობის

ანგარიში

(28.11.2016-დან - 01.09.2017-მდე)

2017 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შედეგად არჩეული უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია საქმიანობის განხორციელებას შეუდგა 2016 წლის 28 ნოემბრიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია თავის საქმიანობას წარმართავს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში.

საანგარიშო პერიოდში საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის მუშაობა მიმდინარეობდა კანონშემოქმედებითი და კომისიის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა საქმიანობის მიმართულებით.

## **კომისიის საკანონმდებლო საქმიანობა**

საანგარიშო პერიოდში კომისია ძირითადად მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის დახვეწისა და მისი საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით.

### **კომისია, როგორც წამყვანი მუშაობდა შემდეგ ინიციატივებზე:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე. აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა წარმოდგენილი იყო უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ნინო ჩხეტიას მიერ. მისი შემუშავება განპირობებული იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონის ამოქმედების 2017 წლის 1 ივლისამდე გადავადებით. რეგლამენტის პროექტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 116<sup>5</sup> მუხლის, რომელიც ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კვოტით საჯარო სამსახურის საბჭოს წევრის არჩევის საკითხს, ამოქმედების თარიღი მიზმული იქნა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონის მე-19 მუხლის ამოქმედებასთან.

(მიღებულია: 27.12.2016. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 28.12.2016)

### **2. საკანონმდებლო პაკეტი, რომელშიც შედიოდა:**

– აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებების პროექტები:

– „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

– „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 14 ნოემბრის №81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

– „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 20 დეკემბრის №99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტი წარმოდგენილი იყო უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის დავით გაბაიძის მიერ. წარმოდგენილი ცვლილების მიზანი იყო მომიჯნავე ფუნქციებისა და ერთი მიზნის მიღწევისაკენ ორიენტირებული თანამდებობების სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში არსებობის ნაცვლად მათ ერთიან სტრუქტურაში მოქცევა, რაც უფრო ხელსაყრელს და ეფექტურს გახდიდა ზოგადად უმაღლესი საბჭოს საქმიანობას. კერძოდ, საკანონმდებლო პაკეტით აპარატის ორი სტრუქტურული ერთეულის პრესსამსახურისა და აპარატის ადმინისტრაციის ბაზაზე შეიქმნა ახალი – საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროტოკოლის დეპარტამენტი.

(მიღებულია: 10.02.2017. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 13.02.2017)

**3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემბრის №19 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.** აღნიშნული დადგენილების პროექტის ინიციატორი იყო უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე. აღნიშნული დადგენილების მომზადება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 20 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებით, საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების უფლებამოსილება საქართველოს მთავრობას ჰქონდა მინიჭებული, ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 1 ივნისს შესაბამის დადგენილებაში შეტანილი ცვლილებით დამტკიცებული იყო ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საჯარო თანამდებობათა რეესტრი, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატისაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს (საქართველოს მთავრობის) მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიღებული იყო შესაბამისი ნორმატიული აქტი, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, იგი იწვევდა უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემბრის №19 დადგენილების იურიდიული ძალის დაკარგვას.

(მიღებულია: 10.02.2017. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 13.02.2017)

**4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“.** აღნიშნული დადგენილების პროექტის ინიციატორი იყო უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია. პროექტის მიღების მიზეზი იყო, აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნა და მისი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება.

(მიღებულია: 16.03.2017. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 20.03.2017)

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი – „საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ“ და მისგან გამომდინარე საქართველოს ორგანული კანონის პროექტი. წარმოდგენილი პროექტი ინიცირებული იყო უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ. წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მუნიციპალიტეტების ორგანოების სამართლებრივი და დარგობრივი ზედამხედველობა უნდა განხორციელდებინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს. ახალი რეგულაციის მიღების მიუხედავად დასახელებული იყო ის გარემოება, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობა ართულებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველი ერთეულების სამართლებრივ და დარგობრივ ზედამხედველობას, როგორც პროცედურული, ასევე ორგანიზაციული თვალსაზრისით.

აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის მიერ არ იქნა მხარდაჭერილი, რის თაობაზეც კომისიის მიერ მომზადებული იქნა შესაბამისი დასკვნა და წარედგინა უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. კანონპროექტის ავტორები და ინიციატორები იყვნენ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე და უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია. კანონპროექტის მიზანი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საკითხების გადაწყვეტის პროცედურების გამარტივება. კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ნაცვლად ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

(მიღებულია: 20.04.2017. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 20.04.2017)

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ და მისგან გამომდინარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“. აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა ინიცირებული იყო საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის მიერ. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის აგვისტოს შემდეგ ეს იყო პირველი ინიციატივა, რომლითაც ახალი კანონი იქნა მიღებული.

კანონპროექტის მომზადება განპირობებული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების იერარქიის, მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის საკითხების მიმართ ახლებური მიდგომებისა და ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების დანერგვით, რაც მოითხოვდა მოქმედი კანონის

ახალი რედაქციით მიღებას. ამასთანავე, კანონის მიღების მიზეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ არ არსებობდა კანონის კონსოლიდირებული (კოდიფიცირებული) ვერსიის ოფიციალური რედაქცია, რაც ხშირ შემთხვევაში კანონის გამოყენების პროცესში ქმნიდა სირთულეებს.

აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა კომისიის მიერ განხილული იქნა სამი მოსმენით და მომზადებული იქნა შესაბამისი დასკვნები თითოეული მოსმენისთვის.

(მიღებულია: 15.06.2017. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 20.06.2017)

**8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი – „სატყეო მეურნეობის მართვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.** კანონპროექტი ინიცირებული იყო საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ნინო ჩხეტიას მიერ. კანონპროექტის მომზადება განპირობებული იყო „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2016 წლის 3 ივნისის №5154-რს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნით, რომლის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს უნდა უზრუნველყო ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებასთან აჭარის საკანონმდებლო აქტების შესაბამისობა, რაც თავის მხრივ გულისხმობდა „სატყეო მეურნეობის მართვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონთან ტერმინოლოგიური თვალსაზრისით შესაბამისობაში მოყვანას.

კანონპროექტით, „სატყეო მეურნეობის მართვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-13 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომელშიც არსებული ტერმინი - „საკადასტრო აზომვითი ნახაზი“ შეიცვალა ტერმინით - „საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი“.

(მიღებულია: 23.06.2017. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 28.06.2017)

**9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.** კანონპროექტი ინიცირებული იყო საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ნინო ჩხეტიას მიერ. კანონპროექტის მომზადება განპირობებული იყო „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2016 წლის 3 ივნისის №5154-რს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნით, რომლის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს უნდა უზრუნველყო ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებასთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების შესაბამისობა, რაც თავის მხრივ გულისხმობდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონთან ტერმინოლოგიური თვალსაზრისით შესაბამისობაში მოყვანას.

კანონპროექტის მომზადება ასევე განპირობებული იყო საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის 21 აპრილს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია ელექტრონული ხელმოწერის, ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები,

რომელმაც ჩაანაცვლა ახალი კანონის მიღებამდე მოქმედი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ვინაიდან „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ კანონი ყველა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტის დაწესებულებისათვის თანაბარ საწყისებზე ადგენს ელექტრონული დოკუმენტის ამონაბეჭდის იურიდიული ძალის საკითხსა და მისი დამოწმების წესს, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ზემოაღნიშნული საკითხების მხოლოდ ერთი სპეციალური კანონით (ამ შემთხვევაში - „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონი) მოწესრიგება და სხვა დარგობრივ საკანონმდებლო აქტებში დუბლირებული დებულებების ამოღება.

ხსენებულიდან გამომდინარე კანონში არსებული ტერმინი - „საკადასტრო აზომვითი ნახაზი“ შეიცვალა ტერმინით - „საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი“, ხოლო ერთგვაროვანი სამართლებრივი პრაქტიკის დანერგვის უზრუნველსაყოფად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონიდან ამოღებულ იქნა ის დებულებები, რომლებიც ეხებოდა მართვის ავტომატური საშუალებით გაცემული დოკუმენტის და მისი ამონაბეჭდის იურიდიული ძალის საკითხს.

(მიღებულია: 23.06.2017. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 28.06.2017)

**10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.** კანონპროექტი ინიცირებული იყო საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ნინო ჩხეტიას მიერ. განპირობებული იყო საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის 21 აპრილს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია ელექტრონული ხელმოწერის, ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები, რომელმაც ჩაანაცვლა ახალი კანონის მიღებამდე მოქმედი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ვინაიდან „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ კანონი ყველა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტის დაწესებულებისათვის თანაბარ საწყისებზე ადგენს ელექტრონული დოკუმენტის ამონაბეჭდის იურიდიული ძალის საკითხსა და მისი დამოწმების წესს, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ზემოაღნიშნული საკითხების მხოლოდ ერთი სპეციალური კანონით (ამ შემთხვევაში - „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონი) მოწესრიგება და სხვა დარგობრივ საკანონმდებლო აქტებში დუბლირებული დებულებების ამოღება.

ხსენებულიდან გამომდინარე ერთგვაროვანი სამართლებრივი პრაქტიკის დანერგვის უზრუნველსაყოფად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონიდან ამოღებულ იქნა ის დებულებები, რომლებიც ეხებოდა მართვის ავტომატური საშუალებით გაცემული დოკუმენტის და მისი ამონაბეჭდის იურიდიული ძალის საკითხს.

(მიღებულია: 23.06.2017. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 28.06.2017)

11. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“. პროექტის ავტორები და ინიციატორები იყვნენ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია. ახალი დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების დღის წესრიგში დაყენება გამოწვეული იყო საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 27 ოქტომბერს მიღებული კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“, რომელიც ძალაში 2017 წლის 1 ივლისიდან შევიდა. აღნიშნული კანონი ერთმანეთისგან მიჯნავს საჯარო მოსამსახურეთა სამ კატეგორიას: მოხელეებს, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებსა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს, ასევე მათ სამართლებრივ სტატუსს. გარდა ამისა ახალი კანონი ახლებურად განსაზღვრავს საჯარო დაწესებულებების სტრუქტურის ჩამოყალიბების საფუძვლებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, ასევე უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებასა და სტრუქტურაში არსებული საკანონმდებლო ნაკლოვანებებისა და ახალი სამართლებრივი მიდგომების გათვალისწინებით, უმაღლესი საბჭოს აპარატის მოქმედ დებულებასა და სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის ნაცვლად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ახალი დოკუმენტის ინიცირება.

(მიღებულია: 23.06.2017. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 26.06.2017)

12. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“. პროექტის ავტორები და ინიციატორები იყვნენ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია. რეგლამენტის პროექტის მიზანი იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისობაში მოყვანა. ცვლილებები შეეხო უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-12, 32-ე, 39-ე, 48-ე, 138<sup>1</sup>, 141-ე და 142-ე მუხლებს, ხოლო 141<sup>1</sup> მუხლი ამოღებულ იქნა რეგლამენტიდან.

მე-12 მუხლში შეტანილი ცვლილებით, კანონის სათაურად მითითებული იქნა „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი, ვინაიდან 2017 წლის 1 ივლისიდან „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი ზემოაღნიშნული სათაურით არის.

32-ე მუხლი, რომელიც ეხება კომისიის აპარატის სტრუქტურას შესაბამისობაში მოდის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ახალ კანონთან. კომისიის აპარატის სამტატო თანამდებობიდან გამოვიდა კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე, ვინაიდან ახალი კანონის შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკური პირის თანაშემწე სამსახურში მიიღება ადმინისტრაციული ხელშეკრულებით და იგი არ წარმოადგენს სამტატო თანამდებობას.

ვინაიდან ფრაქციის აპარატში საქმიანობა არ ითვლება საჯარო სამსახურად, რეგლამენტის 39-ე მუხლიდან ამოღებულ იქნა მე-5 პუნქტი.

48-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს, აპარატის უფროსის მოადგილეს, უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს. ამავე მუხლის „პ“ ქვეპუნქტში შესატანი ცვლილებით

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე კანონმდებლობით დადგენილი წესით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს აპარატის საშტატო ნუსხას, განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის, აპარატის უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და სხვა დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების ოდენობებს.

პროექტის შესაბამისად, 141-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლითაც დეტალურად გაიწერა უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების წესი.

პროექტის შესაბამისად, რეგლამენტიდან ამოღებულ იქნა 141<sup>1</sup> მუხლი, ვინაიდან მისი საჭიროება არ არსებობდა.

რეგლამენტს დაემატება 141<sup>2</sup> მუხლი, რომლითაც ასევე დეტალურად გაიწერა აპარატის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების წესი.

ვინაიდან ახალი კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახლებურად აწესრიგებს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცებისა და თანამდებობრივ ინსტრუქციებთან დაკავშირებულ საკითხებს 142-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით. ასევე ახალი რედაქციით ყალიბდება ამავე მუხლის პირველი პუნქტიც.

უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტისა და საერთო დეპარტამენტის (საფინანსო-სამეურნეო და სატრანსპორტო უზრუნველყოფის) სახელწოდებების ცვლილებიდან გამომდინარე, ცვლილებები შევიდა რეგლამენტის 77-ე, მე-80, 81-ე, 84-ე, 96<sup>1</sup>, 97-ე, 110<sup>1</sup> და 138<sup>1</sup> მუხლების შესაბამის პუნქტებში, სადაც – იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის დასახელება შეიცვალა – იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასახელებით, ხოლო საერთო დეპარტამენტის (საფინანსო-სამეურნეო და სატრანსპორტო უზრუნველყოფის) დასახელება შეიცვალა – ლოჯისტიკისა და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის დასახელებით.

(მიღებულია: 23.06.2017. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 26.06.2017)

**12. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.** პროექტის ავტორები და ინიციატორები იყვნენ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია. კანონპროექტის მიზანი იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისობაში მოყვანა.

კანონში განხორციელებული ცვლილებით, რიგ მუხლებში ერთმანეთისგან გაიმიჯნა მოხელეების და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საკადრო საკითხებთან დაკავშირებული რეგულაციები;

დადგინდა, რომ საარჩევნო კომისიის წევრი არ იქნება საჯარო მოხელე;

დადგინდა, რომ უსკოს აპარატის მოხელე, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატთან ერთად, უნდა ფლობდეს საჯარო მოხელის სერტიფიკატსაც, როგორც ამას ითვალისწინებს ახალი კანონი. აღნიშნულიდან გამონაკლისი დაიშვება კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ტერმინი „საშტატო განრიგი“ შეიცვალა ტერმინით „საშტატო ნუსხა“.

(მიღებულია: 23.06.2017. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 28.06.2017)



13. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. პროექტის ავტორები და ინიციატორები იყვნენ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია.

კანონპროექტის მიღება ერთის მხრივ გამომდინარეობდა იმ გარემოებიდან, რომ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონისათვის 2017 წლის 1 ივლისიდან ხდებოდა სათაურის ცვლილება.

მეორეს მხრივ კანონპროექტის მიღება გამომდინარეობდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 120-ე მუხლით დადგენილი ახალი რეგულაციით, რომლითაც იმ პირთა თანამდებობრივი სარგოების ზედა და ქვედა ზღვრები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან 120-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებულ პირთა კატეგორიას (ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები არ არიან აღნიშნული პუნქტების ჩამონათვალში) განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით. კანონმდებლობის აღნიშნული რეგულაციებიდან გამომდინარე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 22-ე მუხლში აღნიშნული ტერმინი „ხელფასი“ შეიცვალა ტერმინით „თანამდებობრივი სარგო“, ხოლო – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი“ შეიცვალა – „კანონით“.

(მიღებულია: 23.06.2017. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 28.06.2017)

14. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი – „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 20 მარტის №99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. პროექტის ავტორები და ინიციატორები იყვნენ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია.

დადგენილების პროექტის მიღება გამოწვეული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესატანი ცვლილებით, რომლითაც იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტს და საერთო (საფინანსო-სამეურნეო და სატრანსპორტო უზრუნველყოფის) დეპარტამენტს ეცვლებოდა დასახელებები.

დადგენილებაში შეტანილი ცვლილებით, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის მე-3 მუხლის „ა“, „გ“, „ე“-თ, „ი“-მ და „ძ“ ქვეპუნქტებში მითითებული ინფორმაციის აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის მიწოდების ვალდებულება იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს აქვს, ხოლო იმავე მუხლის „ო“-რ, „ტ“-ფ და „ყ“ ქვეპუნქტებში მითითებული ინფორმაციის აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის მიწოდების ვალდებულება – ლოჯისტიკისა და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტს.

(მიღებულია: 23.06.2017. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 27.06.2017)

15. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოხელეთა დამატებითი

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 14 ნოემბრის №81 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე. პროექტის ავტორები და ინიციატორები იყვნენ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია.

დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი იყო, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის 28-ე მუხლით დადგენილი რეგულაცია, რომლითაც დგინდება, რომ მოხელის თანამდებობების თითოეული რანგისათვის აუცილებელი სპეციალური მოთხოვნები განისაზღვრება „პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის აუცილებელი სპეციალური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ხოლო დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ადგენს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი საჯარო სამსახურის ბიუროსთან შეთანხმებით, თითოეული თანამდებობის სპეციფიკის და ამ თანამდებობისათვის დადგენილი სამუშაო აღწერილობის შინაარსის გათვალისწინებით.

ვინაიდან, ძალადაკარგულად გამოსაცხადებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დარეგულირებული საკითხის გადაწყვეტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის შესაბამისად, 2017 წლის 1 ივლისიდან განხორციელდებოდა ერთის მხრივ საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ხოლო მეორეს მხრივ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით, ამდენად ძალადაკარგულად გამოცხადდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 14 ნოემბრის №81-უ.ს.შ.ს. დადგენილება.

(მიღებულია: 23.06.2017. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 27.06.2017)

16. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. აღნიშნული კანონპროექტი ინიცირებული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ.

კანონპროექტის მომზადება და ინიცირება განპირობებული იყო საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 27 ოქტომბერს მიღებული კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“. ახალი კანონით დადგენილი რეგულაციები საჭიროებდა შესაბამის ცვლილებებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში, რათა იგი შესაბამისობაში იყოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონთან.

წარმოდგენილი საკანონმდებლო აქტის პროექტის მიმართ წამყვანი კომისიის მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილ იქნა კანონპროექტის რედაქტირებული ვარიანტი, რომელიც მხარდაჭერილია.

(მიღებულია: 30.06.2017. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 30.06.2017)

17. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი – „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივის პარლამენტში წარდგენის შესახებ“ და საქართველოს

**კანონის პროექტი.** პროექტის ინიციატორი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია, შეიქმნას დამატებითი სოციალური გარანტიები პოლიციელებისათვის, რაც აამაღლეს მათ მოტივაციას, გააუმჯობესებს მათი შრომის უფლებების დაცვას და პროფესიულ საქმიანობას.

კანონპროექტის მიზნიდან გამომდინარე, კანონპროექტის მიღება გაზრდის შინაგან საქმეთა სამინისტროს და შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, თუმცა რა მოცულობის საბიუჯეტო ხარჯებზეა საუბარი კანონპროექტის განმარტებით ბარათში არ არის აღნიშნული.

საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 147-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული კანონპროექტი – მთავრობის თანხმობით ან მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ფარგლებში.

საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 147-ე მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე, უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი წამყვანი კომისიის თავმჯდომარის მიერ 2017 წლის 15 ივნისს გადაგზავნილი იქნა საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანთან შენიშვნებისა და წინადადებების მოწოდების მიზნით.

მიმდინარე წლის 29 ივნისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიაში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოვიდა საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის წერილი (№20073, 27.06.2017), რომელსაც დანართად ერთვის საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროების უარყოფითი წერილობითი პოზიციები კანონპროექტთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე წამყვანი კომისიის მიერ საკანონმდებლო ინიციატივა არ იქნა მხარდაჭერილი, რაზეც მომზადდა შესაბამისი დასკვნა.

**18. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი – „საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტების „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის თაობაზე“.** პროექტის ავტორები და ინიციატორები არიან უმაღლესი საბჭოს წევრები დავით გაბაიძე, ნინო ჩხეთია და ვახტანგ წულაძე.

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია გრანტის მიმღებთა ჩამონათვალი, რომელთა შორისაც გრანტის მიმღებ სუბიექტებად გათვალისწინებულია საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოები დარჩენილი არიან აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციის მიღმა.

ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებს გრანტების პირდაპირი მიღების უფლებამოსილების შემთხვევაში მიეცემა შესაძლებლობა საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, სოციალური პროექტების, აგრეთვე საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის ოპერატიულად მიიღონ მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რაც აამაღლებს ავტონომიური რესპუბლიკების სახელისუფლებო ორგანოების როლსა და მნიშვნელობას და ხელს შეუწყობს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონმა გრანტების მიმღების ნაწილში სამართლებრივად მოიცვას ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოები.

აღსანიშნავია, რომ ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების – სამინისტროების გრანტის გამცემ სუბიექტთა ჩამონათვალში დამატების კუთხით საქართველოს პარლამენტში უკვე ინიცირებულია და განხილვის პროცესშია კანონის პროექტი „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№07-2/482, 05.05.2016. ინიციატორი: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო), რომლის შესაბამისადაც, ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო შეიძლება იყოს გრანტის გამცემი.

პარლამენტში 2016 წელს ინიცირებული და ამჟამად წარდგენილი კანონპროექტები ავტონომიურ რესპუბლიკებთან მიმართებაში საკანონმდებლო დონეზე ერთიანობაში მოაწესრიგებს გრანტების გაცემისა და მიღების საკითხებს.

წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა კომისიის მიერ სრულად იქნა მხარდაჭერილი.

## **საანგარიშო პერიოდში კომისიამ სავალდებულო დასკვნების მომზადების მიზნით განიხილა შემდეგი საკანონმდებლო ინიციატივები:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. კანონპროექტის ინიციატორი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. კანონპროექტით გათვალისწინებული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტებისათვის ფონდის შექმნის შესაძლებლობა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნებოდა მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტებისათვის თანხის გამოყოფა. ფონდიდან თანხის განკარგვა ხორციელდება მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ხოლო იმ შემთხვევაში თუკი გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100 000 ლარს, თანხის გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

კომისიამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საკანონმდებლო ინიციატივას და დასკვნა გაეგზავნა საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიას.

**(მიღებულია: 27.12.2016. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 28.12.2016)**

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. პროექტის ინიციატორი იყო უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნება – მაჟორიტარები“.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 27-ე მუხლისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრების ამომრჩევლებთან ურთიერთობის ღონისძიებათა გაუმჯობესება და საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისათვის ხელის შეწყობა.

კომისიის სხდომაზე დადგენილების პროექტის მიმართ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები ასახული იქნა კომისიის დასკვნაში, რომელიც გაეგზავნა წამყვან კომისიას.

(მიღებულია: 26.01.2017. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 27.01.2017)

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და მისგან გამომდინარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“. პროექტების ავტორები და ინიციატორები იყვნენ უმაღლესი საბჭოს წევრები ნინო ჩხეტია და გიორგი რომანაძე.

კანონპროექტის მიღების მიზეზი იყო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში 2016 წლის 13 აპრილს განხორციელებული ცვლილებები, რომლის შესაბამისად, ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის წარმოდგენის ვადა შესაბამისობაში მოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციასთან. მეორეს მხრივ, კოდექსში შეტანილი ცვლილებით ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე (ნაცვლად 1 მაისისა) იღებს გადაწყვეტილებას რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

კანონსა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებებით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი შესაბამისობაში იქნა მოყვანილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციასთან და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსთან.

(მიღებულია: 10.02.2017. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 16.02.2017/13.02.2017)

### **კომისიის სამანდატო და საკადრო საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობა**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში, კომისიამ წარმოდგენილი მასალების შესწავლის საფუძველზე მოამზადა კომისიის დასკვნები და უმაღლესი საბჭოს დადგენილებების შემდეგი პროექტები:

- „ზურაბ პატარაძის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ“;

– „დავით-თარხან მოურავისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“;

– „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“;

– „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის დავით-თარხან მოურავის ადგილმონაცვლის ზაზა ოქუაშვილის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“;

– „ლევან ვარშალომიძისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“;

– „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ლევან ვარშალომიძის ადგილმონაცვლის ასმათ დიასამიძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“;

## **კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა და კომისიების პერსონალური შემადგენლობის არჩევა**

საანგარიშო პერიოდში უმაღლეს საბჭოში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადებული და ინიცირებული იქნა 1 დადგენილების პროექტი უმაღლესი საბჭოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ და 5 დადგენილების პროექტი უმაღლესი საბჭოს კომისიების პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილების განხორციელების შესახებ.

### **საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული საქმიანობა**

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ განხილულ იქნა:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვა“.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შესახებ“;

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი;

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების მიმოხილვა“.

განხილულ საკითხებთან დაკავშირებით კომისიის მიერ მომზადებული იქნა შესაბამისი დასკვნები, რომლებიც მიწოდებული იქნა შესაბამის სუბიექტებზე.

## **დამოუკიდებელი ორგანოს ანგარიშის განხილვა**

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ განხილულ იქნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2016 წლის საქმიანობის ანგარიში“.

ამავე ანგარიშის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე განხილვის მიზნით კომისიის მიერ მომზადებული და ინიცირებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2016 წლის საქმიანობის ანგარიშის განხილვის პროცედურის განსაზღვრის შესახებ“.

## **უმაღლესი საბჭოს წევრთა ინტერესთა შეუთავსებლობასთან დაკავშირებული საკითხები**

2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შედეგად არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობის შემდეგ 2016 წლის 1 დეკემბერს გამართულ საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის პირველივე სხდომაზე განხილულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსთან შეუთავსებლობის საკითხი.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაუშვებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი იმავდროულად იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრი, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, ეკავოს რაიმე თანამდებობა საჯარო სამსახურში. ამასთანავე, უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება არა აქვს ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა. აქვე ხაზი გაესვა იმ საკანონმდებლო მოცემულობას, რომ უმაღლესი საბჭოს წევრი იმავდროულად შეიძლება ეწეოდეს პარტიულ საქმიანობას, ეკავოს ნებისმიერი თანამდებობა პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს ეწეოდეს სამეცნიერო, პედაგოგიურ, სახელოვნებო საქმიანობას, თუ ასეთი საქმიანობა არ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს. ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებაში კანონმდებლობის შესაბამისად იგულისხმება სამეცნიერო, სასწავლო, სახელოვნებო დაწესებულებებში თანამდებობის პირის მიერ საკადრო, დისციპლინურ და სხვა საკითხებზე ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.

კანონმდებლობის ზემოაღნიშნული მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ყველა წევრს დაეგზავნა წერილობითი შეტყობინება და განემარტათ, რომ თუკი უმაღლესი საბჭოს რომელიმე წევრს ეკავა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა ან ეწეოდა შეუთავსებელ საქმიანობას, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ ვადაში (უფლებამოსილების ცნობიდან 10 დღის ვადაში - არაუგვიანეს 2016 წლის 13 დეკემბრამდე) უმაღლესი საბჭოს

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიისათვის წარმოედგინათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობიდან განთავისუფლების ან/და შეუთავსებელი საქმიანობის შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტი.

იდენტური შინაარსის წერილობითი შეტყობინება 2016 წლის 29 დეკემბერს გაეგზავნა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის დავით თარხავ-მოურავის ადგილმონაცვლეს ზაზა ოქუაშვილს, რომლის უფლებამოსილებაც ცნობილ იქნა 2016 წლის 27 დეკემბერს. აღნიშნულის საპასუხოდ უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიაში 2017 წლის 11 იანვარს შემოვიდა უმაღლესი საბჭოს წევრის ზაზა ოქუაშვილის წერილი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, საიდანაც ირკვევა, რომ ბატონი ზაზა ოქუაშვილი იყო შპს «ომეგა 2»-ს და შპს «ოჯო»-ს თანამშრომელი და ხსენებულ ორივე კომპანიაში პირადი განცხადების საფუძველზე 2017 წლის 1 იანვრიდან შეუწყდა შრომითი ურთიერთობა.

## **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები**

ახალ არჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობიდან კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ შევსებული და საჯარო სამსახურის ბიუროში წარდგენილია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები. კომისია და კომისიის აპარატი პერიოდულად ეცნობა უმაღლესი საბჭოს წევრების ქონებრივ დეკლარაციებს.

საანგარიშო პერიოდში უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ შევსებული ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები გამოქვეყნებულია საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე ([www.declaration.gov.ge](http://www.declaration.gov.ge)).

## **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი**

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია დებულების შესაბამისად აგრძელებდა უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ცალკეული ნორმატიული აქტების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების კონტროლს, რისთვისაც აქტიურად თანამშრომლობდა შესაბამის სუბიექტებთან.

საანგარიშო პერიოდში უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების გარდამავალი დებულებებიდან გამომდინარე შესასრულებელი იყო შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის №27 დადგენილების მე-2 მუხლიდან გამომდინარე უნდა მომხდარიყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული რეორგანიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც შესრულებულია.

2. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში 2017 წლის 12 ივლისს შეტანილი ცვლილების



მე-2 მუხლის შესაბამისად, აღნიშნული კანონის ამოქმედებიდან (2017 წლის 14 ივლისი) 2 თვეში (2017 წლის 14 სექტემბერი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს უნდა წარედგინა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უნდა დაემტკიცებინა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების მიერ კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ შექმნილი ან/და ბალანსზე რიცხული ქართული წარმოების პროდუქტისა და ქართული ტრადიციული სიმბოლოების შემცველი ნივთების საფასურის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და რეალიზაციის წესი“.

კანონით განსაზღვრული ზემოაღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 29 აგვისტოს №26 დადგენილებით დამტკიცებულია დადგენილ ვადებში (გამოქვეყნებულია სსმ ვებგვერდზე 31.08.2017).

3. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 23 ივლისის რეგლამენტის მე-2 მუხლის თანახმად, რეგლამენტში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი და აპარატის უფროსის მოადგილე თანამდებობებზე უნდა დანიშნულიყვნენ აღნიშნული რეგლამენტის შესაბამისად, რაც შესრულებულია.

## სტატისტიკური მონაცემები საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ

### საკანონმდებლო საქმიანობის სტატისტიკა

უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები	მათ შორის კომისიის (კომისიის თავმჯდომარის) მიერ ინიცირებული (მომზადებული)
57	36

### კომისიის სხდომების სტატისტიკა

სხდომების რაოდენობა	განხილული საკითხი	მიღებული დასკვნა
28	58	53
შენიშვნა:	საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ ჩატარებულია 7 ერთობლივი სხდომა.	
	საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ განხილულია 4 საკანონმდებლო პაკეტი	

### კომისიაში შემოსული და კომისიიდან გასული კორესპონდენციის სტატისტიკა

შემოსული კორესპონდენცია 401	გასული კორესპონდენცია 152
--------------------------------	------------------------------

### კომისიის წევრების მიერ მოქალაქეთა მიღების სტატისტიკა

მიღებულ მოქალაქეთა რაოდენობა 324	
შენიშვნა:	მოქალაქეთა მიღების სტატისტიკა მომზადებულია საქმისწარმოების განყოფილების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით

წარმოდგენილ ანგარიშში ასახულია ყველა ის ძირითადი სამუშაო, რაც საანგარიშო პერიოდში უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და კომისიის დებულების მოთხოვნათა შესაბამისად შეასრულა საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ კანონშემოქმედებით, საკონტროლო და კომისიის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა საქმიანობის მიმართულებით.

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ჩხეტია